საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

ს.ს.ი.ჯ. მიწის მდგრადი მართვისა და
მიწათსარგებლობის მონიტორინგის
ეროვნული სააგენტო

MINISTRY OF ENVIRONMENT
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

LEPL NATIONAL AGENCY FOR
SUSTAINABLE LAND MANAGEMENT
AND LAND USE MONITORING

მის: 0160, საქართველო, თბილისი, ვაზისუბნის ქ. 25; ტელ: (+995 32) 231 30 26; Address: 25 Vazisubani str. Tbilisi, 0160, Georgia; Tel: (+995 32) 231 30 26;

N 1355/01
15/08/2022

1355-01-2-202208151019

მოქალაქე: ვაჟა გონაშვილს (პ/ნ N 01010013065)

მის.: [redacted]

ტელ.: [redacted]

ბატონო ვაჟა,

სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2022 წლის 27 ივლისის წარმოდგენილია თქვენი N1090 განაცხადი საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილეობის თაობაზე. **თქვენ მიერ N1090 განაცხადში მითითებულ იქნა ასპინძის მუნიციპალიტეტში (გუმბათი), მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საძოვრის კატეგორიის [redacted] ჰა მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: [redacted].**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა'' პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხოლო 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის

თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის თანახმად, იჯარით გასაცემი საძოვრის შერჩევა ხორციელდება სააგენტოს მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან შეთანხმებით. საძოვრის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით ყველა მათგანის მხრიდან დადებითი პოზიციის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში იჯარით გასაცემი საძოვრების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სამინისტროსა და სააგენტოს ვებგვერდებზე (www.mepa.gov.ge; www.land.gov.ge), რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად მიიჩნევა და წარმოადგენს პროგრამაში მონაწილეობის შესახებ განაცხადების მიღების დაწყების საფუძველს.

ამავე პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პრეტენდენტს, რომელსაც შერჩეული აქვს იჯარის უფლებით გასაცემი საძოვარი და, ამავდროულად, განაცხადის წარდგენისას მას ან/და მის მეპაიეს/წევრს მფლობელობაში აქვს იჯარის უფლებით გასაცემი საძოვრის ასათვისებლად საკმარისი რაოდენობის მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ამ პროგრამის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, თქვენ მიერ N1090 განაცხადით მოთხოვნილი [redacted] საკადასტრო კოდით სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთი არ არის მიმდინარე ეტაპზე სააგენტოს მიერ შერჩეულ აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრების სიაში. ამდენად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად სააგენტო მიიჩნევს, რომ თქვენი მოთხოვნა პროგრამაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, ისეთ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, რომელიც არ წარმოადგენს იჯარით გასაცემ საძოვარს, ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

ამასთან, მოგახსენებთ, რომ [redacted] საკადასტრო კოდით რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით გაცემის მოთხოვნა გაგზავნილია სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შესაბამისად ამ ეტაპზე აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ არის ჩართული საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამაში“.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოხსენებულ პროგრამაში მონაწილეობისათვის შესაძლებლობა გაქვთ სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდებზე (www.mepa.gov.ge; www.land.gov.ge) გამოქვეყვენული იჯარით გასაცემი საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთებიდან შეარჩიოთ შესაბამისი ნაკვეთი ან ნაკვეთები და საიტზე მითითებულ ვადებში განმეორებით წარმოადგინოთ განაცხადი სააგენტოში.

საქართველოს ფოსტის ჩაბარება/არ ჩაბარების შეტყობინების ბარათებით დადგინდა, რომ შეტყობინება სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ არ ჩაგბარდათ, შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებით, გეგზავნებათ განმეორებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამაში" მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს 2022 წლის 28 მარტის N2-15 ბრძანებით დამტკიცდა ზემოხსენებულ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს განაცხადის წარმომდგენი პირის თანხმობას, იმის შესახებ, რომ თუ სააგენტოში წარდგენილ განაცხადზე ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, სააგენტოს გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ მოხერხდება განაცხადში მითითებულ მისამართზე, სააგენტოს გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის საფუძველზე, დამატებით გამოცხადდება საჯაროდ (კერძოდ საჯაროდ გამოცხადებად ჩაითვლება სააგენტოს ოფიციალურ ვებ. გვერდზე გადაწყვეტილების განთავსება) და ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება ჩაითვლება განაცხადის წარმდგენისთვის ჩაბარებულად. ამდენად, ვინაიდან თქვენ ზემოხსენებულთან დაკავშირებით სააგენტოში განაცხადის წარდგენის ეტაპზევე გქონდათ გამოხატული თანხმობა, აღნიშნული კორესპონდენცია ასევე გამოცხადდება საჯაროდ და აღნიშნული შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება საჯაროდ გამოცხადებიდან მე-10 დღეს.

ასევე გაცნობებთ, რომ წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიორგი მიშელაძე

თავმჯდომარე